პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 144 (10841) | ხუთშაბათი, 20 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

გავაერთიანოთ მთელი ძალები მშვიდობისათვის ბრძოლაში!

ამიერიდან სიტყვა კოლომბო ისტორიაში შევა როგორც სიმბოლო მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობისა, მათი მტკიცე გადაწყვეტილებისა თავიდან აიცილონ კაცობრიობას ახალი გამანადგურებელი ომის საშინელი საფრთხე. ამ ქალაქში გაიმართა ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო კრება — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია. სინდისისა და გულის კარნახით ჩამოვიდნენ კოლომბოში მსოფლიოს ყველა კუთხიდან თითქმის ოთხმოცი ხალხის წარმომადგენელნი, მათი ნების ნამდვილი გამომხატველნი — უბრალო ადამიანები და მთავრობათა წევრები, მეცნიერები და მღვდლები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები და დიასახლისები.

ხალხთა ნება ნათლად გამოხატულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მონაწილეთა გამოსვლებში, იგი მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მის გადაწყვეტილებებში. მთელ მსოფლიოში გაისმა კოლომბოდან საყოველთაო-სახალხო მოთხოვნა: გზა გადავუღობოთ ატომურ ომს!

ორ თვეზე მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროომ მოუწოდა შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, რომელიც აძლიერებს საშიშ გამალებულ შეიარაღებას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას. ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ ბევრი ქვეყნის მილიონობით უბრალო ადამიანი, მრავალი ორგანიზაცია, პარლამენტები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები.

გამოხატავს რა საბჭოთა ხალხის ნებას, საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ შეიტანა წინადადება საცდელ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ. რათა აღმოიფხვრას დაბრკოლებები, რომლებსაც ხელოვნურად ქმნიან დასავლეთის სახელმწიფოები, საბჭოთა კავშირი ამ დღეებში გამოვიდა ახალი ინიციატივით. მან წინადადება მისცა ატომგულის იარაღის მქონე ქვეყნებს დადონ შეთანხმება მისი გამოცდის შეწყვეტის შესახებ ორი-სამი წლის განმავლობაში, ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი შესაბამისი კონტროლის დაწესებით.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები დაჟინებით უწევენ წინააღმდეგობას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას, მიუხედავად იმისა, რომ თვით შეერთებულ შტატებში ასეთი გამოცდების შეწყვეტის მოთხოვნა საყოველთაო ხასიათს იღებს. როგორც ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დირექტორმა ჯორჯ გელაპმა ამ დღეებში განაცხადა, „ამერიკელი ხალხის უმრავლესობას ამჟამად მიაჩნია, რომ შეერთებული შტატები უნდა დათანხმდნენ შეწყვიტონ ატომგულის იარაღის შემდგომი გამოცდა, თუ ყველა ქვეყანა, მათ შორის რუსეთი, დათანხმდება იგივე გააკეთოს“. 2.200 ამერიკელმა მეცნიერმა გამოაქვეყნა მოწოდება ბოლო მოეღოს ატომგულის იარაღის დაგროვებას და შეწყდეს მისი გამოცდა.

ფაქტია, რომ შეერთებული შტატებისა და ინგლისის გარკვეულ წრეებს არა სურთ დათანხმდნენ არც ატომგულის იარაღის აკრძალვაზე, არც მისი გამოცდის შეწყვეტაზე. საშიში აფეთქებები გრძელდება, ადგენენ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ამ საშუალებების ახალი და ახალი გამოცდების გეგმებს.

ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს! სწორედ ამიტომ მშვიდობის მსოფლიო საბჭომ თავის მიმართვაში ყველა მთავრობისადმი მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის გამოცდა. „ხალხები მოითხოვენ შეწყდეს ატომგულის გამოცდა, პარლამენტებს საჭიროდ მიაჩნიათ ეს, — ნათქვამია მის დეკლარაციაში. — ამას მოითხოვენ მთავრობები, მათ შორის ერთი დიდი სახელმწიფო, რომელსაც თვითონ აქვს ატომგულის იარაღი. ყოველდღე გაისმის ახალი ხმები ყველაზე ავტორიტეტიან წრეებში. ეს წინადადება შეიძლება დაუყოვნებლივ იქნას მიღებული...“

გაითვალისწინა რა, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც ხელს უშლიდნენ და ხელს შეუშლიან მთელი კაცობრიობის ნების განხორციელებას, მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა საზოგადოებებს, მოძრაობებს, ორგანიზაციებს, კავშირებს, ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს, რომლებიც ისწრაფვიან ბოლო მოუღონ ატომგულის გამოცდებს, შეუერთდნენ საერთო ღონისძიებებს, რათა ერთიანი მოქმედებით მიაღწიონ ამ მიზანს. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ მოწოდებას გამოეხმაურებიან.

კოლომბოში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტები, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა და დღეს ქვეყნდება „პრავდაში“, შეიცავენ მოქმედების ვრცელ პროგრამას ყველასათვის, ვინც მზად არის ემსახუროს მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გადაჭრით დაგმო „ძალის პოლიტიკა“, ბლოკებისა და სამხედრო პაქტების პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ საერთაშორისო თანამშრომლობას და საფრთხეს უქმნის მშვიდობას. მშვიდობის საბჭომ გაილაშქრა ხალხებზე კოლონიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ მისი ძველი და ახალი ფორმით, კოლონიზატორთა ცდების წინააღმდეგ ძალის საშუალებით შეაკავონ ხალხთა მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია შემთხვევით როდი გაიმართა აზიის იმ სახელმწიფოს — ცეილონის დედაქალაქში, რომელმაც ამას წინათ მოიპოვა დამოუკიდებლობა. უდიდესი ძალით გაისმა კოლომბოში აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხთა ხმა. ეს არის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დამთავრებული სესიის დიდმნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც ჩვენს დროში გაჩაღდა კონტინენტებზე, რომელთა ხალხები საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ კოლონიზატორულ ჩაგვრას, გადაიქცა მშვიდობისათვის ბრძოლის დიადი მოძრაობის მძლავრ რაზმად. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის მშვიდობის მებრძოლთა ერთიანობა, რაც ასე მკაფიოდ გამოვლინდა კოლომბოში, ახალი ისტორიული ფაქტორია, რომლის როლი კაცობრიობის ბედის გადაჭრაში სულ უფრო გაიზრდება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კოლომბოს სესიის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ამ სესიაზე თავისუფალ, სრულიად შეუზღუდველ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ადამიანმა, რომლებიც დღემდე ოფიციალურად არ თვლიდნენ თავს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მონაწილეებად. საჭიროა აღინიშნოს, რომ მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მაღალი პოსტები უკავიათ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებსა და პარლამენტებში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა. მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში ახალი პასუხსაგები ეტაპი იწყება. მშვიდობის მოწინააღმდეგენი ჯერ არ არიან დამარცხებულნი, გამალებული ატომური შეიარაღება გრძელდება. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე საჭიროა მშვიდობის ყველა მომხრის ერთიანობა, ახალი და ახალი მილიონობით ადამიანის ჩაბმა მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობაში. ხალხებს შეუძლიათ აიძულონ და კიდევაც უნდა აიძულონ აგრესიული წრეები უკან დაიხიონ. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანები. მათგან პირველი და უმნიშვნელოვანესია მიაღწიონ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას, რაც გზას გაუხსნის მის სრულ და უთუო აკრძალვას. კაცობრიობის სინდისი მოითხოვს ამ ამოცანის გადაჭრას. იგი შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად და მხურვალედ უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს. იგი ამაყობს იმით, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა, მისი ინიციატივა განიარაღებისა და ატომგულის იარაღის აკრძალვის საკითხებში, მწვავე საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაში უდიდესი წვლილია მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

დაე უფრო ფართოდ გაჩაღდეს მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა, დაე ახალი და ახალი ძალები შეემატონ მას! ღრმა აზრით აღსავსეა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდების სიტყვები:

— მომავალი თაობები მადლობით მოიგონებენ იმათ, ვინც ამ კრიზისულ დროს მთელ ძალღონეს მოახმარს კაცობრიობის დაცვის საპატიო პოვალეობას.

„პრავდის“ 19-VI მოწინავე.

საბჭოთა ფილმი „ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუ ამერიკის რადიოტელევიზიის „კომპანია კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან“

მოსკოვის კინოთეატრებში უკვე უჩვენებენ ახალ დოკუმენტალურ ფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუ ამერიკის რადიოტელევიზიის „კომპანია კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტებთან“. ეს კინოსურათი გადაიღეს დოკუმენტალური ფილმების ცენტრალური სტუდიის ოპერატორებმა. (საკდესი).

უნგრელ ჟურნალისტთა დელეგაცია მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში

ერთ თვეზე მეტია საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება უნგრელ ჟურნალისტთა დელეგაცია. ამ დელეგაციის შემადგენლობაში არიან გაზეთ „ნეფსაბადშაგის“ მთავარი რედაქტორი დეკე ნემეში (დელეგაციის ხელმძღვანელი), გაზეთ „საბად ფელდის“ რედაქტორი დიულა ეკი, ვაგონმშენებელი ქარხნის „განცის“ საქარხნო გაზეთის რედაქტორი იოჟეფ ერდეი, ჟურნალ „ლუდაშ მატის“ პასუხისმგებელი რედაქტორი დიერდ ფელდეში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დიერის ოლქის აღმასკომის გაზეთის რედაქტორი შანდორ ლონნაი, პუბლიცისტი ანდრაშ მიხაი რონაი, საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი ნორბერტ შიკლოში, უნგრეთის რადიოს თავმჯდომარის მოადგილე დიულა შიმო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის აღმასკომის პრესის განყოფილების ხელმძღვანელი ბელა საბო, გაზეთ „ნეფსაბადშაგის“ რედკოლეგიის წევრი კარიი სამოში, გაზეთ „ნეპაკარატის“ მთავარი რედაქტორი ოშტვან ვარკონი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს უნგრელი ჟურნალისტები იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ერევანში, ტალინში, ოდესაში, იალტაში, სოჭში. მათ დაათვალიერეს მთელი რიგი საწარმოები, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები, კოლმეურნეობები, სანატორიუმები, ესაუბრნენ მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, ისინი ესაუბრნენ აგრეთვე უკრაინის, სომხეთის, ესტონეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნებს.

18 ივნისს უნგრელ ჟურნალისტთა დელეგაცია მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, გ. კ. ჟუკოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ. შეპილოვი გულთბილად მიესალმნენ უნგრელ ჟურნალისტებს.

შემდეგ გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი, რომლის მსვლელობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა დაწვრილებით უპასუხეს უნგრელ ჟურნალისტთა კითხვებზე.

საუბარს დაესწრნენ აგრეთვე უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს მუდმივი კორესპონდენტი მოსკოვში ჩაბა კიში, გაზეთ „ნეფსაბადშაგის“ მუდმივი კორესპონდენტი მოსკოვში ოშტვან საბო, მოსკოვში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი ლასლო როშტა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ლ. თ. ილიჩოვი და სხვა ამხანაგები.

გიორგი დიმიტროვის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა

18 ივნისს გაიმართა ქალაქ მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის, ბულგარელი ხალხის დიდი შვილისა და ბელადის გიორგი დიმიტროვის დაბადების 75 წლისთავს.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ ქარხნებისა და ფაბრიკების, უმაღლესი სასწავლებლების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. შეკრებილთა შორის არიან გიორგი დიმიტროვის მეგობრები და თანამებრძოლები, რომლებიც ბულგარეთიდან ჩამოვიდნენ, აგრეთვე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, რომლებიც პირადად იცნობდნენ დიმიტროვს და მუშაობდნენ მასთან. საკავშირო დაესწრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლუბენ გერასიმოვი და საელჩოს თანამშრომლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა.

— ვიცოცხალ — დიმიტროვი ამბობს — ამბობს იგი, მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე მშრომელი ხალხის სამსახურს, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლას მოახმარა. იგი იყო საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, მხურვალედ იცავდა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, მგზნებარედ იბრძოდა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

გამოჩენილი მარქსისტი — ლენინელის დიმიტროვის მთელი ცხოვრება ყველა ქვეყნის მშრომელთა მთამაგობელი ძაგალითია მშვიდობისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გიორგი დიმიტროვის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ბ. ნ. პონომარიოვმა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დიმიტრი განევის გამოსვლას. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის ძეგლი ამურის კომსომოლსკში

ამურის კომსომოლსკი, 16 ივნისი. (საკდესი). ამურის კომსომოლსკის მცხოვრებლებმა საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღნიშნეს მშობლიური ქალაქის სახელოვანი 25 წლისთავი.

ქალაქის ათი ათასზე მეტი მცხოვრები შეიკრიბა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ზეიმისათვის, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★ ★

შრომითი აღმავლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმისას ტყიბულელმა მეშახტეებმა იკისრეს 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ქვანახშირის ამოღება.

ნაცვლად 10 თვისა და ერთი კვირისა ეს ვალდებულება ტყიბულელებმა 5 თვეში შეასრულეს.

ტყიბულელთა ამ გამარჯვების, საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დაჩქარების ორგანიზატორები არიან ამ შახტების კოლექტივთა მოწინავე წარმომადგენლები, რომლებმაც პირადი მაგალითის ჩვენებით მთელი მასა გაიყოლიეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში. ლენინის სახელობის შახტში ასეთი მოწინავე მეშახტეები არიან გამყვანი რ. გიგაშვილი, ამფეთქებელი გ. კირკიტაძე და მრავალი სხვა. სურათზე — ზევით: შახტის ღრმა ჰორიზონტის ფენათა გადახსნაზე მომუშავე მოწინავე მეშახტეები რ. გიგაშვილი და გ. კირკიტაძე.

* * *

თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკის მეორე კომკავშირულ საამქროში მუყაითი შრომით თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა მუშებმა ნ. ოდიშელიძემ, მ. მოძმანაშვილმა, ს. არუთინოვამ და სხვებმა. ისინი ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. სურათზე: წინა პლანზე ნ. ოდიშელიძე (მარჯვნივ), მ. მოძმანაშვილი და ს. არუთინოვა მუშაობის დროს.

ფოტო დ. საბელაშვილისა და კ. გოჭაძისა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლას ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივები თანდათან აძლიერებენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ გადაჭრით გააუმჯობესეს მუშაობა იმ საწარმოებმა, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ, გაუმართავად მუშაობდნენ. მაგალითად, უკეთესად მუშაობს თბილისის კერამიკული კომბინატი, გადაჭრით გარდაქმნეს მუშაობა ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა, მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

შეჯიბრების მიმდინარეობის პერიოდში რუსთავის მეტალურგებმა გამოიჩინეს ახალი თაოსნობა — გააჩაღეს ბრძოლა საწვავის, ელექტროენერგიის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობისათვის. მათს მაგალითს მიბაძეს სხვა საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც იკისრეს მომჭირნეობის შედეგად დაგროვილი ნედლეულისა და მასალებისაგან ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება. ამ მოძრაობას მხურვალედ დაუჭირა მხარი საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელმაც მოუწოდა პროფორგანიზაციებს სათავეში ჩასდგომოდნენ მომჭირნეობისათვის ბრძოლას, გაეღრმავებინათ და მთელ რესპუბლიკაში გაევრცელებინათ მეტალურგების ეს სასარგებლო წამოწყება.

ძირითადი ნედლეულისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობისათვის ბრძოლა სანიმუშოდ მოაწყეს თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში, რომლის კოლექტივმა იკისრა 7 ნოემბრისათვის დაზოგილი საძირე და საზედაპირე ტყავისაგან, აგრეთვე დამხმარე მასალებით 60.000 წყვილი საუკეთესო ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვება. მომჭირნეობისათვის ბრძოლაში დაწინაურებული და პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადების წასახალისებლად ფაბრიკაში დააწესეს ორი გარდამავალი ალამი და ათას-ათასი მანეთი პრემია. ამასთან ფაბრიკის სხვადასხვა საამქროებში საფაბრიკო პროფორგანიზაციის ინიციატივით და ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით ჩამოაყალიბეს შრომის გაუმჯობესებული მეთოდების შემსწავლელი წრეები, ხოლო საგამომჭრელო საამქროში შექმნეს საზედაპირე და საძირე ტყავის რაციონალური გამოჭრის მეთოდების შემსწავლელი სკოლა. წრეებსა და სკოლებში მასწავლებლებად მოწვეულ იქნენ ადგილობრივი ნოვატორები ნ. ფარაჯანოვა, ტ. ცერცვაძე, ტ. სეროვატკინა და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრების კარგად მოწყობამ, მაღალი საწარმოო შედეგების მოპოვებით მასების დაინტერესებამ გამოიწვია შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელ წრეებსა და სკოლებში მუშების დიდი ლტოლვა, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. მაგალითად, ვ. ნეჩაევას ბრიგადა, რომელიც ოთხი კაცისაგან შედგება, წინათ სისტემატურად ჩამორჩებოდა, გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდა. სკოლაში მეცადინეობის შედეგად ბრიგადის წევრებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია, შესამჩნევად გაუმჯობესეს თავიანთი საწარმოო მაჩვენებლები, გასწიეს 57.258 დეციმეტრი საზედაპირე ტყავის ეკონომია, მიიღეს გარდამავალი ალამი და ფულადი პრემია.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების თვეები ახალი, მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს საქართველოს მეშახტეებმა. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სამშობლოსათვის მიეცათ მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი გეგმის გადამეტებით. მეშახტეები ამ დაპირებას პირნათლად ანაღდებენ. 1 ივნისისათვის მათ ქვანახშირის მოპოვების ხუთი თვის დავალება გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული და გეგმის გადამეტებით სამშობლოსათვის მიცემული ჰქონდათ რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი.

ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობა მეშახტეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვის შედეგიცაა. მეშახტეებში ფართოდ გავრცელდა მოწინავე ტყიბულელი მეშახტის გამყვან ე. რიჟამაძის ბრიგადის გამოცდილება, რაც შემდეგში მდგომარეობს: რიჟამაძის ბრიგადაში, რომელიც წინათ რვა კაცისაგან შედგებოდა, ყველა მომიჯნავე პროფესია შეისწავლეს. ბრიგადის წევრებმა შეისწავლეს მხგრეველის, ამწმენდის, მებეგის, ამფეთქებლის პროფესიები და ამან მათ საშუალება მისცა ემუშავნათ გაუცდენლად, შეემცირებინათ ბრიგადის შემადგენლობა 2 კაცით და უზრუნველეყოთ საღღეღამისო ციკლის 24 საათის ნაცვლად 16 საათში შესრულება.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში ცალკე საწარმოებში, მრეწველობის თითქმის ყველა დარგში დაწინაურდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც აითვისეს მუშაობის ნოვატორული ხერხები. ასეთები არიან რუსთავის მეტალურგთა წარმომადგენლები საგლინავი საამქროს ოპერატორი ა. გზირიშვილი, მეფოლადე ვ. ჭაბაშვილი, ქუთაისელი ავტომობილმშენებელი ლიტონმხეხავი გ. კოჩეტკოვი, ზესტაფონელი მეტალურგი ბრიგადირი ვ. გამეზარდაშვილი, თბილისელი მეელმავლე გ. ბოგვერაძე, ქუთაისელი მანქანათმშენებელი ს. გელენიძე და სხვ.

მათი მუშაობის მეთოდები ახლა ფართოდ ვრცელდება მთელ რესპუბლიკაში.

ბ. შაპირო, ა. შეშინა,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორები.

დაწინაურებული მაღარო

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ხუთი თვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს უკვე მისცა 6.200 ტონა სასაქონლო მარგანეცის მადანი. აქ წარმატებით მუშაობენ ივნისშიც — მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს პირველი დეკადის დავალება.

მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევიან უბნები, რომლებსაც დ. შეყილაძე, გ. ცერცვაძე და ს. შარიქაძე ხელმძღვანელობენ. თავდადებულად შრომობენ მარგანეცის მბურღავები ნ. ჯოხაძე, კ. ცერცვაძე, ამწმენდები დ. შეყილაძე, ე. ცერცვაძე, კ. ბედინაშვილი, რ. ბრეგვაძე, ვ. ზოდებაძე, მებიგეები ი. ხვედელიძე, რ. ცერცვაძე, შ. შერგილაშვილი, შ. გოგსაძე, გ. თაბაგარი და ზეინკალი ა. მოდებაძე, რომლებიც გეგმებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ღოკომოტივების მეჯი ნარმადობით გამოყენებისათვის

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). ქუთაისელმა მეელმავლეებმა გაიჩაღეს შეჯიბრება ლოკომოტივების მეტი წარმადობით გამოყენებაში, მეტი სახალხო სამეურნეო ტვირთების გადაზიდვაში, საღღეღამისო გარბენის დაჩქარებაში უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. ამ შეჯიბრებაში გარდა მეელმავლეებისა მეორთქმლმავლეებიც ჩაებნენ.

ახლა ქუთაისელი მელოკომოტივეები დიდი წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო ტვირთზიდვის დავალებებს, საგრძნობლად ზრდიან საათობრივ სიჩქარეს. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ მძიმეწონსინებს მ. ჭყოიძეს, ო. მელაძეს, ა. ტყაბლაძეს და მ. ჩუბინიძეს.

ჩაის ქრეფვაში დაწინაურებულნი

18 ივნისი

ხობის რაიონი

ფუშუ ხუნჯუამ სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე მოკრიფა 1.800 კილოგრამი ფოთოლი და ამით 0,5 ჰექტარზე ჩაის კრეფის წლიურ გეგმას 200 კილოგრამით გადაჭარბა. იგი იბრძვის იმისათვის, რომ სეზონში სულ მოკრიფოს 3.500 კილოგრამი ნედლეული.

ბაბუცა შამათავა წარმატებით მუშაობს ამავე სოფლის კოლმეურნეობაში. მან უკვე მოკრიფა 2.200 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამისა. ახლა იგი იბრძვის იმისათვის, რომ სულ სეზონში მოკრიფოს 4 ათასი კილოგრამი ფოთოლი.

ცხაკაიას რაიონი

ულიეტა ბოკუჩავა სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მისი ვალდებულებაა 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 5 ათასი კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 1.300 კილოგრამი ნედლეული.

ვენერა ღვინჯილია ამავე კოლმეურნეობაში უკვე მოკრიფა 1.500 კილოგრამი ჩაი. ვალდებულებით სეზონში 0,5 ჰექტარზე უნდა მოკრიფოს 5 ათასი კილოგრამი ნედლეული. იგი ყოველდღიურად ფოთლის კრეფის გეგმას სამმაგად ასრულებს.

უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ

მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის

16 ივნისის დილის 9 საათია. მარნეულის რაიონის კლუბი ხალხით არის სავსე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აქ მოწვეულ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალურ თათბირს ესწრებიან გარეუბნის, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნისა და თეთრი წყაროს რაიონების მოწინავე კოლმეურნეები, მექანიზატორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს და ცეკავშირის მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. ვ. კოვანოვმა.**

მოხსენებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის, მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ამოცანების შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **ი. ბერძენი.**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, — ამბობს იგი, — საბჭოთა ადამიანების წინაშე გრანდიოზული ამოცანები დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. 1957 წელი უნდა გავხადოთ გარდატეხის წლად სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში, უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ.

ამხ. ბერძენმა აღნიშნა, რომ 1950 წელთან შედარებით 1956 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 447.430 ათასი მანეთით, ხოლო თათბირის მონაწილე რაიონების კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი 1,5-2-ჯერ გადიდდა.

1960 წლისათვის გათვალისწინებულია რესპუბლიკაში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულ იქნას ხორცი — 46 ცენტნერი, რძე — 258 ცენტნერი, მატყლი — 1.66 ცენტნერი, ღორის ხორცი — 50 ცენტნერი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში თათბირის მონაწილე რაიონებს უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ. ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავეა გარეუბნის რაიონი. მაგრამ თეთრი წყაროს რაიონში, რომელსაც სხვებთან შედარებით მეცხოველეობის განვითარების უკეთესი პირობები აქვს, შარშან შეამცირეს პირუტყვის სულადობა.

— ახლა დადგა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი სოფლის მეურნეობაში,— დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთელი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს იქითკენ, რომ პურეულის მოსავალი ავიღოთ უდანაკარგოდ, პირველი განალეწი მარცვლეული ჩავაბაროთ სახელმწიფოს, მოსავლის აღებასთან ერთად გავწმინდოთ ნაკვეთები ნამჯისაგან და დროულად ჩავატაროთ ნაწვერალზე თესვა, საშემოდგომო თესვისათვის მოვამზადოთ ჯიშიანი თესლი.

ტრიბუნაზეა პარტიის მარნეულის რაკომის პირველი მდივანი ამხ. **ნ. ჯიბლაძე.**

— ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად მარნეულის რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები ენერგიულად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღოთ 33 ცენტნერი ხორცი, აქედან 100 ჰექტარ სახნავზე სულ მცირე 20 ცენტნერი ღორის ხორცი, გავასუქოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 10 ათასი ღორი, თვითეული 100 კილოგრამი წონით.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მაგალითად, სოფელ ქესალოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ პირობა დადო ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 50 ცენტნერი ხორცი, 120 ცენტნერი რძე და 600 კილოგრამი მატყლი. ასევე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის, კასუმლოს ხრუშჩოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. რაიონში 3 თვის ასაკამდე გაზრდიან 100 ათას წიწილას, თვითეულს არანაკლებ 1 კილოგრამი წონით.

★

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირი მარნეულში

★

გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ა. კორახაშვილმა** განაცხადა, რომ რაიონში უკანასკნელი წლების შანძილზე გადიდდა მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვი. ამის გამო შარშან ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია მხოლოდ 12,3 ცენტნერი სიმინდი. ასევე არ შესრულებულა ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა. ეს იმიტომ, რომ სუსტად ვნერგავთ მოწინავეთა გამოცდილებას, ყველგან არ ვიცავთ ნათესების დამუშავების აგროწესებს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. 1955 წელს თვითეულ ძროხაზე მიღებული იყო 1.228 კილოგრამი რძე, შარშან კი — 1.435 კილოგრამი.

ახლა სათოხნი კულტურების დამუშავებასთან ერთად მიმდინარეობს პურეულის მოსავლის შერჩევით აღება. მაგრამ გალეწილი მარცვლეულის დროულად გადასაზიდავად საკმაო რაოდენობით არა გვაქვს ავტომანქანების საბურავები. ამ მხრივ ცეკავშირმა მეტი ყურადღება უნდა მოგვაქციოს.

ტრიბუნაზეა გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ნ. გაჯიევი.**

— უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, — ამბობს ორატორი, — სიმინდის ნათესი 1.361 ჰექტაროდან 1.866 ჰექტარამდე არის აყვანილი. მაგრამ მოსავლიანობის სათანადო ზრდას ჯერჯერობით ვერ ვაღწევთ. ეს იმიტომ, რომ ნათესების დამუშავების საქმეში სრულად ვერ ვიყენებთ მექანიზაციას.

ერთგვარი მიღწევებია მეცხოველეობის განვითარებაში. გათვალისწინებული გვაქვს შარშანდელთან შედარებით წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხორცის, რძის და მატყლის წარმოება გავადიდოთ 20-25 პროცენტით.

პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **შ. ქუტიძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რაიონში ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 52 ცენტნერამდე აიყვანეს. ერთიორად გაადიდეს მარცვლეულის მოსავლიანობა. წელს თვითეულ ძროხაზე 1.000 ლიტრ რძეს მიიღებენ. შარშან კი მიღებული იყო 880 ლიტრი.

რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც სომხეთის სს რესპუბლიკის კოტაიქის რაიონის მშრომელებს ეჯიბრებიან, იკისრეს ყოველ ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი, 100 ცენტნერი ბოსტნეული და კარტოფილი, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შარშანდელთან შედარებით მიიღონ 20 პროცენტით მეტი ხორცი, რძე და მატყლი. ამხ. ქუტიძემ თათბირს პირობა მისცა, რომ წელს რაიონში დაამზადებენ 50 ათას ტონა სილოსს ნაცვლად შარშან დამზადებული 11 ათასი ტონისა.

ლაპარაკობს რა მეფეხნახეობის განვითარების პერსპექტივებზე, იგი აღნიშნავს, რომ რაიონში არის შესაძლებლობა გადიდდეს ვენახების ფართობი, მხოლოდ საჭიროა ამ საქმეში ზემდგომი ორგანოების დახმარება. რაიონის მშრომელთა სახელით მან იკისრა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება ძირითადად დაამთავრონ 10-12 სამუშაო დღეში და ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, — ამბობს თეთრი წყაროს რაიაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ი. ჩომახაშვილი,** — თათბირზე სამართლიანად გააკრიტიკეს ჩვენი რაიონი. ამის მიზეზი ის არის, რომ სათანადოდ ვერ ვიყენებთ მოწინავეთა გამოცდილებას.

ორატორი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ პირობად თვლის ფართობების უზრუნველყოფას სარწყავი წყლით. 1954 წლიდან ზემდგომმა ორგანოებმა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაავალეს მდინარე ალგეთი გამოეყენებინათ სარწყავად, მაგრამ დღემდე რატომღაც ეს საქმე უყურადღებოდ არის მიტოვებული.

სამტრესტის სამგორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **ს. ხოშტარიამ** ყურადღება გაამახვილა შარშან ყურძნის მიღების დროს დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების ცუდ მუშაობაზე, რაც თბილისის მოსახლეობისათვის ყურძნის მიწოდების შეფერხებით გამოიხატებოდა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაც, — ამბობს მარნეულის რაიონის წითელხიდის მტს-ის დირექტორი ამხ. **მ. კოჯაევი,** — დიდად უმძიმს ხელს მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა. რაიონს მცირე რაოდენობით აქვს საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. ამის ზემდგომმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

გარეუბნის რაიონის თელეთის მტსის დირექტორმა ამხ. **ა. ჩარკვიანმა** აღნიშნა, რომ თუ თელეთისა და კუმისის კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი ვერ მოჰყავთ, ეს იმითაც აიხსნება, რომ დღემდე ვერ მოხერხდა სარწყავი არხის გაყვანა.

თათბირის მონაწილეებს მეღორეობის განვითარების დარგში თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. გახრამანოვმა.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბოლნისის რაიონის სოფელ კაპანახჩის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. გასანოვმა,** პარტიის გარდაბნის რაიკომის მდივანმა სამგორის მტს-ის ზონაში ამხ. **კ. სევასტოვმა,** მარნეულის რაიონის სოფელ კასუმლოს ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ყურბანოვმა,** ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. **ლ. რეხვიაშვილმა,** საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. **ა. გაბუნიამ,** ცეკავშირის პრეზიდიუმის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ა. წვერავამ,** მარნეულის მტს-ის მთავარმა აგრონომმა ამხ. **ბ. ფიშერმა** და სხვ. — სულ 19 კაცმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. ვ. კოვანოვმა.**

— ახლა საბჭოთა ხალხის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული, — განაცხადა მან, — უახლოეს წლებში უნდა დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ. საკოლმეურნეო წყობილების ძალა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა საშუალებას გვაძლევს ეს ამოცანა წარმატებით შევასრულოთ.

ამხ. კოვანოვმა ყურადღება გაამახვილა პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღების, სახელმწიფოსათვის დარცვლეულის ჩაბარების, ნათესების დამუშავების, მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარების, წველადობის მკვეთრად გადიდების საკითხებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უდიდესი რეზერვების მაქსიმალური სისრულით გამოყენებაზე. მან თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მთელი ენერგიით იმუშაონ იმისათვის, რომ სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი, ფართოდ განავითარონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი და ახალი წარმატებებით შეხვდნენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

* * *

იქ, სადაც თათბირი მიმდინარეობდა. შენობის შესასვლელ ოთახში გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებს მოუწყვიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ექსპონატების გამოფენა. აქ იყო ახალი მოსავლის უხვმოსავლიანი ხორბლისა და ქერის, ირონჯისა და ხახვის სათესლეების, კომბოსტოს, პამიდორის, ჭარხლის, სტაფილოს და სხვ. ნიმუშები, რომლებსაც თათბირის მონაწილენი გულდასმით თვალიერებდნენ.

გარდა ამისა, შესვენების დროს თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის სანიმუშო ფერმა.

თათბირის დასასრულს ნაჩვენები იქნა კინოფილმი სასოფლო-სამეურნეო თემაზე.



სურათზე: კურორტ სქურის № 1 დასახელებული სახლი. ფოტო ბ. გავრილენკოსი.

შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ამას წინათ რაიონის მშრომელებმა საზაფხულო კინოთეატრის შენობაში საზეიმო შეხვედრა მოუწყეს ძველ ბოლშევიკებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ცანავამ. რევოლუციაში ძველი ბოლშევიკების მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ალ. მორგოშიამ. რევოლუციის ვეტერანებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს პარტრაიკომის თანამშრომელმა მ. კვირტიამ, განათლების განყოფილების გამგემ ვ. როდონაიამ, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ე. ესართიამ და სხვ.

საინტერესო იყო ძველი ბოლშევიკის იოსებ პაპავას მოგონება და ა. ჯიქიას გამოსვლა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეა.

თავიანთი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დამსწრეებს მოუთხრეს ძველმა ბოლშევიკებმა პლატონ იზორიამ, სიმონ ქებურიამ, ევგენი ჩიქოვანმა, ნიკოლოზ ჯინჯოლავამ და სხვებმა.

მეშახტეთა ბავშვების დასვენება

ტყიბული. (საკ. კორ.). ყოველწლიურად უმჯობესდება მეშახტეთა ბავშვების საზაფხულო დასვენების საქმე. წელს მეშახტეთა 320 ბავშვი ზაფხულს საწირის პიონერთა ბანაკში გაატარებს. მოსწავლეთა ერთი ნაწილი დაისვენებს ქვიხეთში, სურამში, კოჯორში და რესპუბლიკის სხვა კურორტებზე.

კურორტი სქური

კურორტი სქური, რომელიც წალენჯიხის რაიონულ ცენტრს 15 კილომეტრით არის დაშორებული, მდინარე ჭანისწყლის ხეობაში მდებარეობს. იგი ზღვის დონიდან 400 მეტრის სიმაღლეზეა.

სქური ცნობილია ამავე სახელწოდების მინერალური სამკურნალო წყლით, რომელიც გააქვთ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებსა და მხარეებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შესწავლილ იქნა ამ ძვირფასი სამკურნალო წყლის თვისებები. სპეციალისტების აზრით, იგი საუკეთესო შედეგს იძლევა ბრონხიტის, კუჭის წყლულის, თირკმლის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და საშარდე-სასქესო ორგანოების ქრონიკულ დაავადებათა დროს. კარგად მოქმედებს აგრეთვე სისხლის მიმოქცევის სისტემაზე. აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობაში მაღალ ეფექტს იძლევა სქურის აბაზანებიც.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული კურორტ სქურის კეთილმოწყობისათვის. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა დასასვენებელი სახლის მთავარ კორპუსსა და სხვა შენობებს, მოეწყო ახალი აბაზანები.

ახალი საკურორტო სეზონი გაიხსნება პირველი ივლისიდან. იმუშავებს სასადილო, პურის საცხობი, სასურსათო მაღაზია და ხაზოგადოებრივი მომსახურების სხვა ობიექტები. სეზონის განმავლობაში დამსვენებლებს მოემსახურება აგრეთვე საეკიმო კაბინეტი.

შ. ფიფია,

წალენჯიხის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

ლენინგრადის 250 წლისთავისათვის

მშვენიერი ქალაქის ბიბლიოთეკა



ლენინგრადს ყოველდღიურად ახლებით და ათასობით ექსკურსანტი ნახულობს. მათ ხიბლავს ხახახლის ისტორიული მოედანი, წყალუხვი ნევა, საადმირალოს განთქმული შპილი, რომელიც ვმირი ქალაქის სიმბოლოა, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრე, ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროს ახალი შესანიშნავი სადგურები.

ბევრი ისტორიული ამბის მოწმეა გაფიცვების მოედანი (სურათი პირველი). აქ არის შესანიშნავი ტრიუმფალური ნარვის კარი, რომელიც აგებულ იქნა 1812 წლის სამამულო ომში რუსეთის გამარჯვების აღსანიშნავად. ამ მოედანზე გაიარეს პუტილოვის ქარხნის მუშებმა, რომლებმაც იერიში მიიტანეს ზამთრის სახალხოზე 1917 წლის ოქტომბერში.

.. სახალხის მოედანი (სურათი მეხამე). იგი სამუდამოდ შევიდა რევოლუციური ამბების სახელოვან ისტორიაში. კრეისერმა „ავრორამ" ზამთრის სახალხისაკენ მიმართული თავისი ქვემეხების გრიალით 25 ოქტომბერს აუწყა მთელ მსოფლიოს, რომ დადგა ახალი ერა — დიადი სოციალისტური რევოლუციის ერა.

იერიში დაიწყო. პირველი მრავალრიცხოვანი რევოლუციური რაზმები სახალხეში შედიოდნენ საადმირალოს მხრიდან. მათ მიმყვებოდნენ ის ნაწილები, რომლებიც უტევდნენ სასახლის მოედნიდან...

... ვინც კი ჩამოდის ლენინგრადში, აუცილებლად მიდის „ბრონჯაოს მხედართან" (სურათი მეორე), რომლის ხაზემო გახსნა მოხდა პეტერბურგში 1782 წლის 18 აგვისტოს (ახ. სტ.).

„ბრონჯაოს მხედარი" ლენინგრადის დამაარსებლის პეტრე პირველის დიდებული ძეგლია.

ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მაგისტრალია ნევის პროსპექტი (სურათი მეოთხე), მისი სიგრძე ოთხ. ნახევარი კილომეტრი.

ვ. ზემნიცკის ფოტონარკვევი.



თვითნებურ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობათა აღმოსაფხვრელად

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეადგინა ქალაქში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მდგომარეობის საკითხი, რომლის შედეგად გამოირკვა, რომ თბილისის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადგილი აქვს თვითნებურ საბინაო მშენებლობას, არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევისა და თვითნებური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ".

საბურთალოში, შმიდტის ქუჩაზე (ორჯონიკიძის რაიონი) მოქალაქეებმა ძავამშვილმა, ბიზიკოვმა, ბირთველაძემ და სხვებმა 1956-1957 წლებში თვითნებურად დაისაკუთრეს მიწის ნაკვეთები, რომელიც განკუთვნილი იყო პარკისათვის, ააგეს ბინები და იქ ჩაუწერლად ცხოვრობენ. ასევე ნავთლუღში (26 კომისრის რაიონი) მოქალაქეები ალავერდოვი, მურადიანი, ჩიტიშვილი, თათარაშვილი, ძმები დუნამალიანები, ასისთვიშვილი და სხვები უნებართვოდ დაეპატრონენ მიწის ნაკვეთებს და ააგეს საცხოვრებელი ბინები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში რაიონული საბჭოების აღმასკომები ლიბერალურად ეპყრობიან თვითნება ბინათმშენებლებს და არ აძლევენ მათ პასუხისგებაში.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ქ. თბილისში თვითნებური საბინაო მშენებლობის აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

ამ გადაწყვეტილებით თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს ევალებათ ერთი თვის ვადაში აიღონ ქალაქის ტერიტორიაზე თვითნებურად აშენებული ნაგებობები. ამავე დროს საქმეები თვითნება ბინათმშენებლების შესახებ უნდა გადაეცეს პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს მათი პასუხისგებაში მისაცემად.

თუ თვითნებურად აშენებული ნაგებობები, რომლებზეც ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მილიციის რაიონული განყოფილებების მიერ გაცემულია დროებითი საბინაო წიგნები, არ აკმაყოფილებენ რეკონსტრუქციის გენერალური გეგმიდან გამომდინარე საქალაქო მშენებლობის მოთხოვნებს, ისინი უნდა აღებულ იქნეს ერთი თვის ვადაში თვითნება ბინათმშენებელთა ხარჯზე რაიონული საბჭოების აღმასკომების წერილობითი გაფრთხილების შემდეგ.

რაიონული საბჭოების აღმასკომების გაფრთხილების მიუხედავად თუ ერთი თვის ვადაში არ იქნება აღებული თვითნებურად აშენებული ნაგებობები, რაიონული საბჭოები აღებენ ასეთ ნაგებობებს, ხოლო აღების საფასური გადახდებათ თვითნება ბინათმშენებლებს. ამავე დროს მათი საქმეები გადაეცემა პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს.

სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს და ცალკეულ მოქალაქეებს ეკრძალებათ მშენებლობის დაწყება რაიონული საბჭოების აღმასკომების ან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წერილობითი ნებართვისა და დამტკიცებული პროექტის გარეშე.

რაიონული საბჭოების აღმასკომებისა და მილიციის რაიონული განყოფილებების მუშაკები პასუხს აგებენ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მოუფლელობისათვის, თვითნებურად აშენებულ ნაგებობათა დროულად აუღებლობისათვის, თვითნება ბინათმშენებლების პასუხისგებაში მიუცემლობისათვის.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურას, რათა მათ ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომების წარდგინებით გადასინჯონ იმ თვითნება ბინათმშენებელთა საქმეები, რომლებიც რაიონული პროკურატურისა და სასამართლოების მიერ არ იყვნენ მიცემულნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამავე დროს რაიონულ პროკურატურასა და სასამართლოებს მისცენ მითითება, რომ კანონის მთელი სიმკაცრით მოეკიდონ თვითნება ბინათმშენებლებს.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება დაევალა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სპეციალურ ინსპექციას და სახელმწიფო სამშენებლო-არქიტექტურო კონტროლის ინსპექციას.

მეჯი ყურადღება მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

დღითიდღე მშენდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი, უმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური მომსახურება. უკანასკნელ წლებში აშენდა ახალი სამრეწველო საწარმოები და საცხოვრებელი სახლები, გაკეთდა ძველი და გაყვანილი იქნა ახალი ქუჩები, გაკეთდა ახალი მოედნები, გაშენდა ხეივნები, პარკები და სკვერები. ქალაქის ყველა რაიონში გაყვანილია ტრამვაისა და ტროლეიბუსის ხაზები. გაფართოვდა ავტობუსების მოძრაობა. სისტემატურად იზრდება ასიგნობანი მოსახლეობის კომუნალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად ამისა, ქალაქის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ეს განსაკუთრებით შესამჩევია დედაქალაქის განაპირა უბნებში. რედაქციას მოსდის მშრომელთა წერილები, რომლებშიც ისინი ამხილებენ ნაკლოვანებებს და საბჭოთა და საშეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ზომების მიღებას მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის!

— დიდუბე მუშათა დიდი უბანია. მართალია, უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა, რაც ახარებს მშრომელთა გულს, — გვწერს მუშკორი **ი. მჭედლიშვილი,** — მაგრამ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. აქ საქალაქო ტრანსპორტის გაფართოებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ უბანში არც ტროლეიბუსი დადის და არც ავტობუსი, ერთადერთი ტრანსპორტია ტრამვაი, რომლის ვაგონები მუდამ ძალზე გადატვირთულია. აქ ვერ ნახავთ რკინა-კავეულის მაღაზიას ან კაფე-საშაქარლამოს. უკანასკნელ წლებში სასადილოების რიცხვმაც იკლო. წიგნის ერთი პატარა მაღაზია და „სოიუზპეჩატის“ ერთი კიოსკი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. შრავალსართულიანი სახლების მშენებლობის ნაცვლად ბევრგან მოსახლეობა უგეგმოდ აგებს ქოხმახებს. ასეა, მაგალითად, ბრძოლის ქ. № 53-ში, სადაც თვითნებურად აშენებულია ასამდე ქოხი, რაც ხელს უშლის ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელებას და ქმნის ანტისანიტარიას.

— ამ უკანასკნელ წლებში კეთილმოწყობილი გახდა თბილისის თითქმის ყველა ქუჩა, — აღნიშნავენ თავიანთ წერილში ლენინის რაიონის მცხოვრები **რ. ჰოლოკავა, ვ. გელაშვილი** და **კ. ჰელიძე.** — მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ ზიარისა და ახტალის ქუჩები, სადაც 200-მდე კომლი ვცხოვრობთ. ამ მოუკირწყლავ ქუჩებზე წვიმის დროს გაუვალი ტალახი დგება. ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა უნდა გამონახოს სახსრები ზიარისა და ახტალის ქუჩების მოსაკირწყლავად.

ჩვენი გაზეთის მკითხველები **ნიორაძე, ბუჩუკური** და **მუშკუდიანი** გვწერენ ზემო ვაკის ახლად დასახლებულ უბანზე. — ძველი „სეგმეინოვკა“ დღეს მნიშვნელოვნად შეიცვალა. უკანასკნელ წლებში აქ გაყვანილ იქნა სამანქანო გზა, წყალსადენი, გაიხსნა სავაჭრო ფარდული, პურისა და ნავთის წერტები. მაგრამ ყოველივე ეს როდი აკმაყოფილებს ამ უბნის მოსახლეობის მოთხოვნილებებს. სამანქანო გზა, რომელიც ზემო ვაკეს ქალაქის ცენტრთან აკავშირებს, იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ წვიმაში ავტომობილების მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. უბანში არ არის არც სასურსათო და არც სამრეწველო საქონლის მაღაზია.

გასული წლის სექტემბერში ორჯონიკიძის რაისაბჭოს რამდენიმე დეპუტატმა დაათვალიერა ზემო ვაკის უბანი. დაგეპირდნენ, რომ მოაგვარებდნენ გზის, შეკეთების, საავტობუსო მოძრაობის დაწესებისა და სასურსათო მაღაზიის გახსნის საქმეს, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დაპირებად დარჩა.

— წილკნის ქუჩაზე დიდი მოძრაობაა, — გვწერს მუშკორი **ვ. გოლაძე,** — მაგრამ მის მოვლა-კეთილმოწყობას ყურადღება არ ექცევა. ქვაფენილი დაზიანებულია, გაჩნდა ოღროჩოღრო ადგილები და ორმოები. ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების უფროსი ი. დათუაშვილი ჯერ კიდევ 1955 წელს შეგვპირდა ქუჩის კეთილმოწყობას, მაგრამ დღემდე არაფერი არ გაკეთებულა. ასევე სავალალო მდგომარეობაშია ვერის შესახვევი.

პირველი კომკავშირის ქუჩის (26 კომისრის რაიონი) მცხოვრებთა გულისტკივილს გამოთქვამს თავის წერილში მოსამსახურე **ა. სტრელეცკაია.** მშენებლებმა, — აღნიშნავს იგი, — ჯერ კიდევ შარშან დაამთავრეს ამ ქუჩის სავალი ნაწილის მოასფალტება, შარშანვე ჩაყარეს ბორდიურები, გადაასწორეს და მოსასფალტებლად გაამზადეს ტროტუარი. ამის შემდეგ ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები მიატოვეს და მას აღარ დაბრუნებიან. წვიმიან ამინდში ტროტუარზე გავლა შეუძლებელია, ტროტუარიდან გადმოსული ტალახი სვრის ქუჩის მოასფალტებულ სავალ ნაწილს. დაუმთავრებელია აგრეთვე პირველი კომკავშირის ქუჩისა და მასზე გამომავალი შესახვევების გადაკვეთის ადგილების კეთილმოწყობა. იქ, სადაც პირველ კომკავშირის ქუჩას კვეთს სამეურნეო შესახვევი, საჭიროა გაკეთდეს კიბეები და წყალმიმღები, რომ ფერდობიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა კომკავშირის ქუჩაზე არ ჩამოიტანოს ტალახი და ქვიშა-ხრეში.

საჭიროა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მშრომელთა ამ სიგნალებს ყურადღება მიაქციოს და მათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიიღოს სათანადო ზომები.



მთელი ჩვენი რესპუბლიკის ფეხსაცმლის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი — 63 პროცენტი თბილისის ფეხსაცმლის ჰირველ ფაბრიკაზე მოდის. იგი ამ სახის საწარმოთა შორის ყველაზე ძლიერი და მექანიზებულია.

მეფეხსაცმელეები წარმატებით ასრულებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებს.

მოწინავეთა შორის არის ფაბრიკის პირველი შემკერავი საამქროს გადამჭიმავი მ. თედიაშვილი. იგი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს ორმაგად ასრულებს.

სურათზე: მ. თედიაშვილი (წინა პლანზე) გადამჭიმავ მანქანაზე მუშაობის დროს.

მეცნიერულ თემაზე

ანტიბიოტიკების გამოყენების ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა ანტიბიოტიკების აღმოჩენა და პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვა. ანტიბიოტიკები წარმოადგენენ ნივთიერებებს, რომლებსაც არსებობისათვის ბრძოლაში გამოიმუშავებენ სხვადასხვაგვარი მიკროორგანიზმები თავიანთი მეტოქეების, სხვა სახის მიკროორგანიზმების მოსახსნაბად.

დღეს პრაქტიკაში იყენებენ ისეთ მძლავრ ანტიბიოტიკურ პრეპარატებს, როგორიც არის პენიცილინი, სტრეპტომიცინი, ბიომიცინი (აურეომიცინი), სინტომიცინი, ლევომიცეტინი და ტერამიცინი. ეს ნივთიერებები შეჰყავთ ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვაგვარ ინფექციურ, ე. ი. ბაქტერიებით გამოწვეულ დაავადებათა დროს. ანტიბიოტიკები მძიმედ აზიანებენ დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს და ეხმარებიან ადამიანის ორგანიზმს ავადმყოფობასთან ბრძოლაში.

ანტიბიოტიკები წარმატებით იხმარება ისეთ დაავადებათა სამკურნალოდ, როგორიც არის, მაგალითად, სტაფილოკოკებით, სტრეპტოკოკებით და სხვა ბაქტერიებით გამოწვეული დაჩირქებანი, სეფსისი, ფილტვების ანთება, მუცლის ტიფი, პარატიფიანი ტიფი, დიზენტერია, ტულარემია, შავი ჭირი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, მენინგიტი, გართულებები ჭრილობის, ოპერაციის და მშობიარობის შემდეგ, გონორეა, სიფილისი და სხვა. თვითეული დაავადების დროს შესაფერი პრეპარატის შერჩევაა საჭირო, რადგან ყოველი ანტიბიოტიკი მოქმედებს მხოლოდ გარკვეული სახის ბაქტერიებზე.

ადამიანის ორგანიზმი კარგად იტანს ანტიბიოტიკურ პრეპარატებს. ეს წამლები ჩვეულებრივ არ ახდენენ მავნე გავლენას ავადმყოფზე. მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. გარკვეულ პირობებში ანტიბიოტიკურმა პრეპარატებმა შეიძლება ავადმყოფს ზიანიც მოუტანონ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზოგიერთი ავადმყოფის ორგანიზმი ვერ იტანს ამა თუ იმ ანტიბიოტიკურ პრეპარატს. მაგალითად, ზოგჯერ პენიცილინის შეშხაპუნების შემდეგ კანზე ჩნდება „ჰინჭრის ციების“ მაგვარი გამონაყარი, ბიომიცინს შეუძლია კუჭ-ნაწლავის გალიზიანების გამოწვევა. სახიდნიროდ, ასეთი გართულებები ძლიერ იშვიათია, არ მოაქვთ მძიმე ზიანი ავადმყოფობისათვის და ადვილადაც ქრება.

უკანასკნელ წლებში ცნობილი გახდა ანტიბიოტიკების გამოყენების შედეგად განვითარებული კიდევ ერთი გართულება — საფუარის მაგვარი სოკოთი გამოწვეული დაავადება — კანდიდამიკოზად წოდებული.

როგორია ამ გართულების არსი?

ადამიანის ორგანიზმში: კანზე, ლორწოვან გარსებზე, კუჭ-ნაწლავში მრავლად არის სხვადასხვაგვარი მიკროორგანიზმები. სხვა მიკროორგანიზმებთან ერთად ადამიანის კანზე და ლორწოვან გარსებზე ცხოვრობს საფუარის მაგვარი სოკო, რომელსაც ლათინურად კანდიდა ალბიკანსი ეწოდება. ჩვეულებრივ პირობებში ამ სოკოს არავითარი ზიანი არ მოაქვს ადამიანის ორგანიზმისათვის. თუ ადამიანი დიდი რაოდენობით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებს ანტიბიოტიკებს, განსაკუთრებით რამდენიმე პრეპარატს ერთად, მათი გავლენით ითრგუნება არა მარტო ავადმყოფობის გამომწვევი, არამედ უვნებელი მიკრობებიც, სოკოებს კი ანტიბიოტიკები არ აზიანებენ. მიკროორგანიზმების დაზიანებისა და განადგურების გამო საფუარის მაგვარ სოკოს სწრაფი გამრავლების საშუალება ეძლევა. თუ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდა, ადამიანის ორგანიზმში შეიქმნება, ანუ, გამრავლებულმა საფუარის მაგვარმა სოკომ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ორგანოების დაავადება. ამ ავადმყოფობას, სოკო კანდიდა ალბიკანსის სახელწოდების მიხედვით, კანდიდამიკოზი ეწოდება.

კანდიდამიკოზით დაავადების თავიდან აცილება შეიძლება ანტიბიოტიკური პრეპარატების სწორი ხმარებით. ამისათვის ანტიბიოტიკებით — პენიცილინით, სტრეპტომიცინით, ბიომიცინით, სინტომიცინით, ლევომიცეტინით და ტერამიცინით მკურნალობა უნდა წარმოებდეს დიდი სიფრთხილით, მხოლოდ ექიმის დანიშვნით და მეთვალყურეობით. ექიმის მეთვალყურეობა ამისათვის არის საჭირო, რომ დროზე გამოვლინდეს კანდიდამიკოზის საწყისი მოვლენები. თუ კანდიდამიკოზი დროზე იქნა გამოცნობილი, მისი მკურნალობა ძნელი არ არის, ამ ავადმყოფობის მძიმე ფორმამ კი შეიძლება სიკვდილიც გამოიწვიოს.

კანდიდამიკოზით დაავადების შემთხვევებს თბილისის საავადმყოფოებშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ავადმყოფი ზ., რომელიც ფილტვების ანთებით იყო ავად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი დოზით, ერთდროულად იღებდა პენიცილინს, სტრეპტომიცინს და ბიომიცინს. გაუმჯობესების მაგივრად მისი მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისას ნახველში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა საფუარის მაგვარი სოკო. ავადმყოფი სიკვდილს გადაარჩინა მხოლოდ ანტიბიოტიკების მიცემის შეწყვეტამ და სოკოს წინააღმდეგ დროული მკურნალობის დაწყებამ.

სრულიად დაუშვებელია ანტიბიოტიკური პრეპარატების თვითნებური მიღება. ანტიბიოტიკებით მკურნალობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს მართლაც საჭიროა. ამ საკითხის გადაწყვეტა კი მხოლოდ ექიმს შეუძლია.

ვ. გერასიმია,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი,

ვ. ალადაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

★

ცხაკაიას მუსიკალურ სკოლაში

ცხაკაიას მუსიკალურ სკოლას არსებობის ოცდათორმეტი წელი შეუსრულდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1925 წელს, ყოფილ ახალსენაკის მაზრაში პირველად დაარსდა მუსიკალური სკოლა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რაიონის ახალგაზრდობის მუსიკალურად აღზრდის საქმეში. განვლილი წლების მანძილზე სკოლამ დაწყებითი მუსიკალური განათლება მისცა ასობით ჭაბუკსა და ქალიშვილს, გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა და დაეხმარა მუსიკალურ აღზრდაში.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ამ სკოლას ხელმძღვანელობდნენ და ასწავლიდნენ კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი, ვლადიმერ ნაჭყებია (ინგურელი) და სხვ.

სკოლას აქვს საფორტეპიანო დავიოლინოს განყოფილებანი. ამჟამად აქ მუსიკალურ განათლებას იღებს 120 მავმვი. ბევრი მათგანი ყურადღებას იჰყრობს კარგი მუსიკალური ნიჭით და შესრულებით. ასეთებია: ქ. დადიანი, მ. ბალათურია, ც. შარტავა, ს. ხუხია, ი. პადალიაკა, ლ. კანკავა, ე. გორბატოვი, გ. პაიჭაძე, ი. ჩერსტვაია და სხვ.

სკოლაში მუშაობენ კვალიფიციური პედაგოგები: გ. ტეკნეჯიანი, ლ. ადამია, ლ. ჩიხლაძე, ვ. ცელენტისი და სხვები, რომლებიც დაუღალავად იღწვიან ნორჩი თაობის მუსიკალურად აღზრდისათვის.

სკოლის მოსწავლეები და პედაგოგიური კოლექტივი ნაყოფიერ კულტურულ მომსახურებას უწევენ როგორც ცხაკაიას რაიონს, ისე მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. აწყობენ მუსიკალურ გამოსვლებს, საღამო-კონცერტებს. სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგებისგან ძალებით სისტემატურად ეწყობა აგრეთვე კონცერტები კურორტ მენჯის დამსვენებლებისათვის.

ამას გარდა სკოლა ყოველწლიურად აწყობს მეგობრულ, შემოქმედებითს შეხვედრებს მეზობელი რაიონების მუსიკალური სკოლების კოლექტივებთან. ასეთი შეხვედრები წელს მოეწყო ფოთში, ზუგდიდში, ზესტაფონში, გორში და სხვ. ამასთან ერთად სკოლაში სისტემატურად იმართება ღია კონცერტები, რომლებსაც ყოველთვის დიდძალი მსმენელი ესწრება.

წელს სკოლაში წარმატებით დამთავრდა კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები.

ა. შარვანიძე.

სურათზე: ვიოლინოს კლასის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ღია კონცერტზე.
ფოტო ნ. შეპოტკინისა.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებულის VI ტომი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებულის VI ტომი.

წიგნი შეიცავს შრომებს, რომლებიც შესრულებულია ინსტიტუტის თანამშრომლების, აგრეთვე თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების წამყვანი მორფოლოგების მიერ. კრებულში დაბეჭდილია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. ნ. ხლოპინის, ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ბ. დოლგო-საბუროვის, პროფესორების რ. სინელნიკოვის, მ. სპიროვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ვ. ყოენტის, ა. ზურაბიშვილის, წევრ-კორესპონდენტების ირ. ტატიშვილის, პროფ. ნ. ჯავახიშვილის და სხვათა წერილები.

ლ. გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენის გამო

ლადო გუდიაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების ისტორიაში. მისი ნაწარმოებნი მკაფიოდ გამოხატული თვითმყოფი ხასიათისა არიან, ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების ნაყოფს წარმოადგენენ. ამ ნაწარმოებთა ახლანდელი გამოფენა შესაძლებლობას გვაძლევს ანალიზი გავუკეთოთ მთელ მის მხატვრულ მემკვიდრეობას, თვალი გავადევნოთ, როგორ ყალიბდებოდა მისი ხელოვნება, როგორი იყო ახალგრის ძიება, მისი ხელოვნების ესთეტიკური პრინციპები.

ლადო გუდიაშვილი ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო სკოლის მოსწავლე იყო, როცა მონაწილეობას იღებდა სკოლის პედაგოგთა სურათების გამოფენებში, რომლებზეც, როგორც გამონაკლისი, შეიძლებოდა გამოეფინათ მოსწავლეთა საუკეთესო ნაშრომებიც. 1914 წელს მან სამხატვრო სკოლა დაამთავრა და თანამშრომლობა დაიწყო როგორც ილუსტრატორმა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და ეურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“. გამოცემთა ილუსტრაციები, ნატურიდან გადაღებული შემონახული პეიზაჟური ეტიუდები, რომლებიც მხატვარს ამ წლებში შეუსრულებია, გვიჩვენებენ საკმაოდ მაღალ ოსტატობას და დახვეწილ მხატვრულ გემოვნებას.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ლ. გუდიაშვილი მიწვეულ იქნა საქართველოს ძველი კედლის მხატვრობის შესასწავლად და პირების გადასაღებად. მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციაში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, სადაც ნატურალური ზომით გადაიღო ხახულის, ოშკის კედლის მხატვრობის რამდენიმე პირი, აგრეთვე გააკეთა ბევრი ჩანახატი ნატურიდან. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ იგი შეუდგა ძველი ქართული მინიატიურების, განსაკუთრებით საერო ილუსტრირებული ხელნაწერების შესწავლას. მის წინაშე თითქოს გადაიშალა ახალი სამყაო, რაღაც თავისებური, მანამდე მისთვის უცნობი, რომელმაც დაჩრდილა ყოველივე, რაც მას წინათ ენახა. ლ. გუდიაშვილმა მიზნად დაისახა შეექმნა ახალი ხელოვნება, შეემუშავებინა თავისი საკუთარი სტილი, რომელიც ორგანულად დაკავშირებული იქნებოდა ძველ ხელოვნებასთან და ამავე დროს შეინარჩუნებდა მის მკაფიოდ გამოსახულ ეროვნულ თვისებებს. თავის ძიებაში მხატვარი ეუმარიტი შემოქმედებითი გზნებით ხელმძღვანელობდა. მხატვრის მიერ შემუშავებული სტილი დამახასიათებელი თვისებები გახდა: ხაზულობის უპირატესობა ფერწერულობის წინაშე, ფორმის გადმოცემის სიბრტყეთი ხასიათი, მოქმედ პირთა კომპოზიციური განლაგება, დამყარებული სიუჟეტის აზრობრივ მნიშვნელობაზე და არა მხედველობითს აღქმაზე, ფორმების გადმოცემის პირობითობა, რაც რიტმისა და სიმეტრიის კანონებს ემორჩილება, პერსპექტივის ჩვეულებრივი კანონების დარღვევა, სტილიზაციის ფართოდ გამოყენება და ა. შ.

როგორც ცნობილია, ლ. გუდიაშვილი ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდე გატაცებული იყო სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებით. ფიროსმანიშვილის შემოქმედებამ გაიტაცა იგი ფორმის სისადავით, გულწრფელობით, არჩეული სიუჟეტების თავისებურებით. ნ. ფიროსმანიშვილი გარემო სინამდვილეს ისე ხატავდა, როგორც შეეძლო: არ ეწეოდა მის სტილიზაციას, არც ცდილობდა მიებაძა რაიმე „პრიმიტივიზმისათვის“. ამაშია ძალა მისი ბუნებრივი ნიჭისა, რომელიც ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან.

ის, რაც ნ. ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში ბუნებრივი და ორგანული იყო მისი ნიჭის თვით ბუნების მიხედვით, ლ. გუდიაშვილისათვის ცოცხალი ინტერესის, შესწავლის ობიექტი, შემოქმედებითი შთაგონების წყარო გახდა. ლ. გუდიაშვილი ღრმად ჩასწვდა ნ. ფიროსმანიშვილის შემოქმედებითს ბუნებას, ჯეროვნად დაფასა მისი ხელოვნების თავისებური სილამაზე. ნ. ფიროსმანიშვილის — შესანიშნავი თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედებითი სახე, რომლის სამწუხარო ბედმა ღრმად იმოქმედა გუდიაშვილზე, მუდამ აღელვებდა მას: „ნიკო ფიროსმანიშვილი“ (1928), „ჩვენი ნიკალა“ (1936), ბოლოს „ფიროსმანიშვილის სიკვდილი“ (1946) და „ფიროსმანის შესანდობარი“ (1,940) გამსჭვალულია გულწრფელი გრძნობით და მისა მხატვრული გზის თავისებურების გულისხმიერი გაგებით.

გუდიაშვილი პარიზში მოხვდა (1919-1925) როგორც შემოქმედებითად მომწიფებული, თავისა მსოფლმხედველობის, თავისი სტილის მქონე მხატვარი. მისი ხელოვნება იმდენად თავისებური იყო, მხატვრული ზემოქმედების ისეთი ძალა ჰქონდა, რომ მან მაშინვე მიიპყრო საფრანგეთის დედაქალაქის მხატვრული საზოგადოებრობის ყურადღება. ახალი ხელოვნების გალერეაზე, კერძო კოლექციონერები ყიდულობდნენ მის სურათებს, რომლებიც მათზე შთაბეჭდილებას ახდენდა არა მარტო ფორმის გადმოცემის მხატვრული მანერის თავისებურებით, არამედ მათთვის უცნობი „ეგზოტიკური“ ქვეყნის ცხოვრებიდან აღებული შინაარსით.

მხატვრის „პარიზის“ პერიოდის პირველი ნამუშევრები მოწმობენ, თუ რა მახვილად, კრიტიკულად აღიქვამდა იგი სინამდვილეს, ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისს. ამ პერიოდის ნახატები განირჩევა მწვავე სარკაზმით, რომელიც ამათრახებს საფრანგეთის საზოგადოებას, გაბატონებული კლასების ფარისევლობასა და პირმოთნეობას.

ასეთებია მობრძნო მეცნიერები „სორბონის დოგმატიკოსები“ (1921), „პარიზელი ბურჟუები სორბონაში“ (1921), „თვალთმაქცი“ შპეა“ (1921).

ფსიქოლოგიურობითა და დახასიათების არაჩვეულებრივი სიმახვილით განირჩევა ნახატები, სადაც ასახულია დიდი კინომსახიობი ჩარლი ჩაპლინი (კაფე „როტონდა“, ჩარლი ჩაპლინი და „ბატონი“ იმპრესარიო, 1921), რომელიც იძულებულია დათანხმდეს გაქნილი იმპრესარიოს მიერ წაყენებულ პირობებზე. მხატვარი ხატავს პარიზის ლატაკებს მთელ სიდუხჭირეში („პარიზის ნაძირალები“, 1920), ულმობლად გვიხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებასა და ზნეჩვეულებას, მოხელეთა ცინიკურ კარიერიზმს („ბლიქვნელნი და ძისი მფარველნი“, 1924), სისასტიკესა და ფანატიზმს („უდანაშაულოს სიკვდილით დასჯა“, 1924), მორალურ გადაგვარებას („მორიგება“, 1920).

სინამდვილის კრიტიკული ბუქმა, რაც გამსჭვალულია მწვავე სარკაზმით, მისწრაფება თანამედროვე ცხოვრების ყველა სიმახინჯის მხილებისადმი, ცხოვრების მოკლულნთა ფართოდ ასახვა აიძულებს მხატვარს მიმართოს ალეგორიულ ფორმას; მხატვრის ფანტაზია წარმოშობს გროტესკულ კოშმარულ სახეებს. ნახატები გვაოცებს თავისი ექსპრესიით და ემოციური გამომეტყველების არაჩვეულებრივი ძალით. იგი ქმნის ნაწარმოებთა მთელ სერიას, რომლებშიც გამთრახებულია საზოგადოების ყველა ის მანკი, რაც კი ახასიათებს კაპიტალისტურ წყობილებას. ეს ნაწარმოებნი ექსპრესიონის, გამომსახველობისა და შემოქმედებითი ფანტაზიის მიხედვით შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ გოიას სიუიტას და ვუწოდოთ მათ „ქართული კაპრიჩიო“. ესეთებია: „ბიზნესმენთა კერპები“ (1924), „ჩიტტნას პანაშვიდი“ (1924), „თვითკმაყოფილი სიმახინჯე“ (1924), „ხელმეორედ დაკრძალვა პარიზში“ (1924), „მალთუსის მიმდევართა პრაქტიკა“ (1924) და სხვ.

ლ. გუდიაშვილი მკვეთრად გაემიჯნა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ხელოვნების დეკადენტურ ფორმალისტურ მიმდინარეობებს, რომელთა მთავარი ცენტრი იმ დროს პარიზი იყო. მის ნაწარმოებთა პროგრესული იდეური შინაარსი, შემოქმედებითი აზრის სიღრმე და მკაფიობა, ფორმების არაჩვეულებრივი სიმდიდრე, შესრულების ჭეშმარიტი ოსტატობა, მთლიანად იდეური ჩანაფიქრის გასაგები ხასიათი ძირეულად ეწინააღმდეგება ფუტურიზმის, კუბიზმის, ეგზოთწოდებული „უსაგნო“ ხელოვნების წარმომადგენელთა ესთეტიკურ შეხედულებებს, რომელთა შემოქმედებითი პროდუქცია მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს, ხოლო მხატვრული ფორმა გაუგებარია.

დაბრუნდა რა სამშობლოში, როგორც შემოქმედებითად მომწიფებული ოსტატი, ლ. გუდიაშვილი ჩაება საქართველოს საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითს მუშაობაში და მათი ორგანიზაციის აქტიური წევრი გახდა.

მხატვარი გულისხმიერად ეხმაურება თანამედროვე მოვლენებს. მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოდის იგი ადამიანის უფლებათა დასაცავად, პუმანიზმის სასარგებლოდ, ფაშიზმის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ მკაფიო ასახვა ჰპოვა მხატვრის შემოქმედებაში. ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა სერიას დიდი ადგილი უჭირავს გამოფენაზე: „საზიზღარი ქვეწარმავალნი“ (1942), „მოძალადე“ (1942), „ფაშიზმის „დიდსულოვნება“ (1942), „მაიმუნის სამიზნე“ (1942), „ჰიტლერის ფანტაზიის კოსმიური გაფრენა“ (1943), „ფარისევლური ღიმილი მშვიდობას“ (1942), „აგრესორის ულტიმატუმი“ (1942) და სხვ.

ლ. გუდიაშვილის მხატვრული მანერის სპეციფიკურმა თავისებურებებმა ყველაზე მკაფიოდ იჩინა თავი წიგნის გრაფიკაში, ხალხური ზღაპრების ილუსტრაციებში. მხატვარმა ზღაპრის დასურათებაზე მუშაობაში საწყის პუნქტად აიჩრია არა რეალისტური სიფუძველი, რომელშიც დაფარულია ზღაპრის იდეური შინაარსი, არამედ მისი ირეალური მხარე, რომელიც შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარებისათვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ასეთია მხატვრის დიდი ტილო, მიძღვნილი „დევთა მაყრობის“ ასახვისადმი (1934), დევებისა, რომლებიც ბოროტ საწყისს ასახიერებენ და რომლებთანაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან ხალხური ზღაპრების საგმირები. არმაზის არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელებმაც გადაგვიშალეს ქართული კულტურის ისტორიის მანამდე უცნობი საუცხოო ფურცელი, თავისებური ასახვა ჰპოვა მხატვრის შემოქმედებაში. დიდი ტილო „სერაფიტას გასეირნება“ (1940), ნახატი დიდი ტილოსათვის „ქორწილი არმაზში“ (1948) აცოცხლებენ წარსულის სახეებს, საუცხოო ქართული ზღაპრის ფანტასტიკით მოსილს.

ლ. გუდიაშვილის ხელოვნება განუყოფელად დაკავშირებულია ხალხურ შემოქმედებასთან და ქართული ხელოვნების ისტორიულ ტრადიციასთან. ბრინჯაოს ეპოქით დაწყებული (სარტყლის ბალთები, ირმის ჩამოსხმული ფიგურები) და შუა საუკუნეების მთელ მანძილზე (ატენის რელიეფები VII ს., დავით გარეჯის X საუკუნის ფრესკა, რომელიც ასახავს დავით გარეჯელის ცხოვრების ამდელვებელ ეპიზოდებს, დაკავშირებულს ირმებთან) ირმის გამოსახულებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ხელოვნებაში. ცნობილია, რა ყურადღება აქვს დათმობილი ირემს, შველს ხალხურ შემოქმედებაში, სახალხო მხატვრის ნ. ფიროსმანიშვილის ნაწარმოებებში, ვაჟა-ფშაველას გენიალურ მოთხრობაში... გულთბილობა ახასიათებს ირმების, შვლების, არჩვების გამოსახულებას ლ. გუდიაშვილის გრაფიკულ ნაწარმოებებში. პოზების სათაური სხვადასხვაობა, მოძრაობის სინატიფე, დახვეწილი ნახატი, ოსტატობის ვირტუოზულობა ატყვევებს სახის პოეტურობით მოხიბლული მაყურებლის თვალს...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სერია ილუსტრაციებისა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“. მხატვარი დიდხანს და დაკვირვებით სწავლობდა ამ პოემის შემორჩენილ ძველ ილუსტრაციებს. მან ძირეულად გადამუშავა ხსინი, ყურადღება გამახვილი ფიგურულ გამოსახულებათა ხაზოვან რიტმზე, რაც ახასიათებს ძველ მინიატიურებს, მეტი გამომეტყველება მისცა ცალკეულ პერსონაჟებს. „სიმღერა ავთანდილისა“ (1933), რომელიც ორთოფსის მსგავსად ამორჩილებს მხეცებს, გვხიბლავს გადმოცემის ლირიკულობით, ნახატის ოსტატობით, რომელშიც ხაზები მღერიან...

მბრწყინავი ეუმორით, ფორმის გადმოცემის ლაკონიურობით, მხატვრული სახეების მკაფიობით, შინაარსის სიმდიდრით, შესრულების უებრო ოსტატობით განსხვავდება ესკიზები ი. მჭედლიშვილის პიესის „ოიანა-ბუიანის“ დადგმისათვის (1941), რომლებიც აკვარელით არის შესრულებული.

ლ. გუდიაშვილის შემოქმედებას, დიდ მიღწევებთან ერთად, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. ეს უწინარეს ყოვლისა ემჩნევა სხვადასხვა მოცეკვავე ქალთა ამსახველი ფერწერითი სურათების სერიას: „სასახლის მოცეკვავენი“ (1940), „მოცეკვავე ოლ-ოლი“ (1945), „მოცეკვავე ლეილა“ (1939) და სხვ., სადაც ქალის შიშველი სხეულის ღია ვარდისფერ, მძიმე, ზოგადად შესრულებულ ფორმებს დაუკარგავს სანატიფე, მკაფიოდ, რომელიც დამახასიათებელია უფრო ადრინდელი პერიოდის ანალოგიური გამოსახულებებისათვის. მხატვრული გემოვნების დაქვეითებას მოწმობს ისეთი სურათები, როგორიც არის „ეკვიანობა“ (1930), „გოგონა და ლომი“ (1955) და სხვ., რომლებიც

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კოლომბოს სესიის დოკუმენტები

დეკლარაცია აჯომგუღის დაზავებისა და განიარაღების შესახებ

„მთელი მსოფლიოს ხალხებზე გავლენას ახდენს გამალებული შეიარაღება, რომელიც ნთქამს უდიდეს რესურსებს და ქმნის ომის გარკვეულ საფრთხეს. ამ გამალებული შეიარაღების ყველაზე შემაშფოთებელი გამოვლინებაა ატომგულის იარაღის ექსპერიმენტულ აფეთქებათა სერიები, რომლებიც ზედიზედ ხორციელდება.

2 აპრილს მშვიდობის მსოფლიო საბჭო გამოვიდა მოწოდებით შეწყდეს ყველა ექსპერიმენტული აფეთქება. მას შემდეგ ამ აფეთქებათა საფრთხე უფრო გარკვეული გახდა, და მსოფლიოში არავის არ შეუძლია ამტკიცოს, თითქოს იგი დაცულია ამ აფეთქებათა გავლენისაგან ახლა ან მომავალში. ამიტომ ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი უმაგალითო ენერგიით ამხედრდა ამ გამოცდების წინააღმდეგ. გამოცდები არა მარტო საფრთხეს უქმნიან მრავალი ხალხის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ისინი აჩქარებენ აგრეთვე გამალებულ ატომგულის შეიარაღებას. ისინი იწვევენ სულ უფრო ჯოჯოხეთურ სახეობათა იარაღის წარმოებასა და გამოცდას. ისინი აიძულებენ ქვეყნებს, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, განაზორციელონ უფრო დიდი მასშტაბის აფეთქებანი. ისინი სტიმულს აძლევენ სხვა ქვეყნებს აწარმოონ ანალოგიური იარაღი, და აძლიერებენ დაძაბულობას.

გამალებული ატომური შეიარაღება იღებს აგრეთვე არსებული სამხედრო ბაზების ატომურ ბაზებად გადაქცევისა და უცხოეთის ტერიტორიებზე სხვადასხვა პაქტისა და ხელშეკრულების საშუალებით ახალი ბაზების შექმნის ფორმას.

მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულმა ძალებმა უნდა მიიღონ ეგრეთწოდებული ტაქტიკური ატომური იარაღი. მაგრამ ეს იარაღი გააღიდებს იმის რისკს, რომ ადგილობრივი ხასიათის ყოველი კონფლიქტი შეიძლება სწრაფად გადაიქცეს ატომურ ომად.

ეს გამალებული შეიარაღება აძლიერებს დაძაბულობას და ძირს უთხრის ბევრი ქვეყნის დამოუკიდებლობას, აგრეთვე წარმოშობს იმის რისკს, რომ უმწეო ხალხები შეიძლება აღმოჩნდნენ პირველი მსხვერპლნი ატომური ომისა, რომელიც დაიწყება მათი ტერიტორიიდან. ცდები — უწოდონ ამ იარაღს ტაქტიკური — ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ამ სახეობის იარაღი არანაკლებ დამანგრეველია, ვიდრე ხიროსიმას ბომბი. მეორე მხრივ, შეიარაღებული ძალების ღონეურვა ამ იარაღით არ შეიძლება გამართლებულ იქნას სამხედრო ხარჯების ეკონომიის დამოწმებით.

უდიდესი რესურსები, რომლებიც შეიძლება მოხმარდეს ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას და საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ხმარდება ახალ სახეობათა ატომური იარაღისა და საჭურვლის წარმოებას.

ხალხები მოითხოვენ შეწყდეს ატომგულის გამოცდა, პარლამენტებს საჭიროდ მიაჩნიათ ეს. ამას მოითხოვენ მთავრობები, მათ შორის ერთი დიდი სახელმწიფო, რომელსაც თვითონ აქვს ატომგულის იარაღი. ყოველდღე გაისმის ახალი ხმები ყველაზე ავტორიტეტიან წრეებში. ეს წინადადება შეიძლება დაუყოვნებლივ იქნას მიღებული, რადგან არ არსებობს არავითარი სიძნელე მისი განხორციელებისადმი კონტროლისათვის.

ახალ ღონისძიებათა საშუალებით ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ ექსპერიმენტულ აფეთქებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტას. აფეთქებათა შეწყვეტა შეანელებს გამალებულ შეიარაღებას. ეს ღონისძიება იმდენად პოპულარული იქნება, რომ ვერავითარი მთავრობა ვერ შეძლებს დაარღვიოს იგი, თუ არ უნდა, რომ მისი საქციელი დაგმოს მთელმა მსოფლიომ.

ამ ნაბიჯით წარმოშობილი იმედები და ნდობა, რომელიც მისი მეოხებით აღდგება, გააადვილებს შეთანხმების მიღწევას მასობრივი მოსპობის იარაღის სრული აკრძალვისა და საყოველთაო განიარაღების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში უთანხმოება სხვადასხვა პოზიციებს შორის შემცირდა იმ საკითხში, რომელიც შეეხება ჩვეულებრივ შეიარაღებასა და მისდამი კონტროლს. მთელმა რიგმა ქვეყნებმა წარმოადგინეს კონსტრუქციული წინადადებანი, და ის წინადადებები, რომლებიც უკვე მაგიდაზეა, ამტკიცებენ, რომ თუ იქნება კეთილი ნება ყველას მხრივ, შეთანხმება შესაძლებელია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიესალმება და მხარს უჭერს ყოველ მოქმედებას, რომელსაც ესა თუ ის მთავრობა ახორციელებს იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა უნდა მოახდინოს ზეგავლენა იმ მთავრობებზე, რომლებიც მერყეობენ ან უარს ამბობენ დაადგნენ ამ გზას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო, შეიკრიბა რა კონტინენტზე, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ატომური ცეცხლისაგან, მოუწოდებს კოლომბოდან ყველა მთავრობას დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომგულის გამოცდა. მშვიდობის მსოფლიო საბჭო მხარს უჭერს ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს“.

რეზოლუცია, რომელიც მოიწონა დაძაბულობის შენელების საკითხისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კომისიამ

„უნდობლობა სწამლავს ქვეყნებს შორის ურთიერთობას და ჩვენს ატომგულის საუკუნეში კაცობრიობა გაპარტახების პირას ძიძაობენ. ხალხთა ამოცანაა აღადგინონ საერთაშორისო ნდობა და არ დაუშვან მსოფლიო უბედურება.

აზიასა და მსოფლიოს ყველა სხვა ნაწილში გაისმის მრავალი ხმა მშვიდობის სასარგებლოდ. ბანდუნგმა, პანჩა შილამ, მრავალი პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწის განცხადებებმა დიდი იმედები აღუძრა კაცობრიობას. როიდენ დიდიც უნდა გვეჩვენებოდეს დაბრკოლებები მშვიდობის გზაზე, ეს იმედები შეიძლება განხორციელდეს და კიდევაც უნდა განხორციელდეს. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოდის იმის დადასტურება, რომ კაცობრიობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს სიძულვილისა და მტრობების შეწყვეტას და განაზორციელოს გადამწყვეტი მობრუნება მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობისაკენ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამ პირველ სესიაზე, რომელიც შეიკრიბა აზიაში, ერთ-ერთ ყველაზე წარმომადგენლობითს დიდ თაობირზე კოლომბოში, რომელშიც მონაწილეობას იღებს 402 კაცი 70 ქვეყნიდან, ჩვენ მოვუწოდებთ ხალხებს ბოლო მოუღონ მსოფლიოს დაყოფას ორ ერთმანეთის მოპირდაპირე ბლოკად, კაცობრობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ადამიანის თავისუფლებების წართმევას, რომლებთაც სარგებლობენ სხვები, სიძულვილისა და უნდობლობის გაგრძელებას. ჩვენ მოვუწოდებთ ხელი აიღონ ძალასა და ინტერვენციაზე, შეწყვიტონ ატომგულის გამოცდა და ატომგულის შეჯიბრება, გაიყვანონ ჯარები და გააუქმონ ბაზები უცხო ტერიტორიებზე, დამყარონ ურთიერთნდობა.

კოლონიალიზმის ბატონობა ხალხებზე — სულ ერთია, ძველი თუ ახალი ფორმით, ან არაპირდაპირი ზემოქმედების ფორმით, როგორიც არის, მაგალითად, ბლოკებსა და სამხედრო პაქტებში შეყვანა, სხვა ქვეყნების ადამიანთა და მატერიალური რესურსების გამოყენება ომის მიზნით, პოლიტიკური და ეკონომიური შეღწევა, დახმარება, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა პირობები, ვაჭრობის დისკრიმინაცია ან შეზღუდვა, გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს იწვევს დამონებასა და ტანჯვას, აგრეთვე ძალიერებს ომის რისკს. ნამდვილი მშვიდობა შეუძლებელია იყოს მანამდე, სანამ ხალხთა მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი ზღუდავენ ძალის საშუალებით. სწორედ ამიტომ ხალხის მისწრაფება მიაღწიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას — უფლება, რომელიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, — წარმოადგენს ნამდვილ წვლილს მშვიდობის საქმეში.

ხალხთა შორის ეკონომიური და კულტურული გაცვლის შეზღუდვა, ყოველგვარი აკრძალვა და ემბარგო ვაჭრობის, მიმოსვლისა და ურთიერთობის მიმართ ლიკვიდირებულ უნდა იქნას. საერთაშორისო სანაოსნო გზებით სარგებლობა თავისუფალი უნდა იყოს ყველა ქვეყნისათვის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. საჭიროა განვავითაროთ ყოველგვარი ურთიერთობა ხალხებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებასა და მეგობრობას.

ბოლო უნდა მოეღოს ბლოკებისა და სამხედრო პაქტების პოლიტიკას. სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ურთიერთგაგებისა და ურთიერთდათმობის სულისკვეთებით. მათ უნდა აღმოფხვრან ყველაფერი, რაც აფერხებს მშვიდობის სულისკვეთების გამარჯვებას, არა მარტო ქვეყნებს შორის, არამედ თვითეული ქვეყნის ფარგლებშიც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჭეშმარიტად უნივერსალური უნდა გახდეს შემადგენლობის მხრივ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა მიიღოს შესაძლებლობა დაიკავოს ადგილი, რომელიც მას უფლებით ეკუთვნის.

ამის საჭირო საშუალებად, რომ ამ ორგანიზაციას მიეცეს შესაძლებლობა თავისი შესაფერი როლი შეასრულოს ევროპის მშვიდობის დაცვის საქმეში, უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი მთელი უცხო ჯარების გამოსაყვანად, უცხოეთის ყველა ბაზის სალიკვიდაციოდ და სხვადასხვა ქვეყნის საქმეებში უცხოელთა ყოველგვარი ჩარევის შესაწყვეტად. ეს შეიძლება განხორციელდეს ეტაპობით, რათა უახლოეს ხანში მიღწეულ იქნას შენელებული დაძაბულობის ზონის შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება სამხედრო ბლოკებისაგან. ესეც გაუკაფავს გზას ყველასთვის მისაღები უშიშროების ერთიანი სისტემის შექმნას. ეს გააადვილებს გერმანიის გაერთიანებას და მოსპობს ქვეყნის ორ ბანაკად გაყოფას.

საფრთხე არაბთა ქვეყნებისადმი კვლავ იზრდება მას შემდეგ, რაც ჩაიშალა სამმხრივი აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზე ზეგავლენა და მათს საშინაო საქმეებში ჩარევა კვლავ გრძელდება, და მდგომარეობა ისევ სერიოზულია. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელი შეუწყო ეგვიპტეზე თავდასხმის შეწყვეტას, კვლავ ფხიზლად უნდა იყოს. ძალის ვაკუუმის დოქტრინა, ემუქრება რა ამ რაიონის ქვეყნების უშიშროებასა და დამოუკიდებლობას, კიდევ უფრო ზრდის საფრთხეს. ამ რაიონის ხალხთა სუვერენიტეტის დარღვევას ბოლო უნდა მოეღოს და აგრესიის განახლების საფრთხე უნდა აღმოიფხვრას. ეს ღონისძიებანი საჭიროა იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ ამ რაიონში დაძაბულობის შენელებას და ამ რაიონის ხალხებს გავუხსნათ ბანდუნგის სულისკვეთებით მათი პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის მიღწევის გზა.

ბოლო უნდა მოეღოს ომს ალჟირში. არ შეიძლება ალჟირელ ხალხს წაერთვას დამოუკიდებლობის უფლება. თანასწორთა შორის მოლაპარაკებას შეიძლება მოჰყვეს ახალი ურთიერთობის დამყარება თავისუფლების საფუძველზე, და მიღწეულ უნდა იქნას ისეთი მოწესრიგება, რომელიც როგორც მთელი ალჟირელი ხალხის, ისე საფრანგეთის ხალხის ნამდვილი ინტერესების შესაბამისი იქნება.

კვიპროსის ხალხების მიერ თვითგამორკვევის უფლების მიღწევა საჭირო ნაბიჯია მშვიდობისაკენ. ბოლო უნდა მოეღოს რეპრესიებს, და ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა დაწყოს მოლაპარაკება, რომლისკენაც მოუწოდებდა ამ მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ამის ანალოგიურად ყველა სხვა დამოკიდებულმა თუ კოლონიურმა ხალხმა უნდა მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა, რომლის უფლებაც მათ აქვთ.

უნდა შეწყდეს ცდები — საზოვარგარეთიდან გააძლიერონ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური კონტროლი ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი პაქტების სისტემის საშუალებით. ბოლო უნდა მოეღოს უცხოელთა ჩარევას საშინაო საქმეებში, ხოლო მათი ეკონომიური დამოუკიდებლობა მთლიანად უნდა იქნას დაცული.

მშვიდობის გზაზე საჭირო ნაბიჯია კორეის ხალხის ისეთი გაერთიანება და ვიეტნამის ხალხის გაერთიანება პატიოსანი და თავისუფლად დაღებული შეთანხმების საფუძველზე, როგორც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ვალდებულებებთ.

დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო უცხოელთა ინტერვენციას ტაივანის ტერიტორიაზე, რომელიც ჩინეთს ეკუთვნის. საშიში მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავე გახდა ამ კუნძულზე ატომგულის იარაღის ბაზის შექმნის გეგმებთან დაკავშირებით.

ასეთია გზები, რომლებსაც მივყავართ მტკიცე, ხანგრძლივ და სამართლიან მშვიდობამდე, რაც ყველას სურს.

სადავო საერთაშორისო საკითხები არ შეიძლება გადაიჭრას და არც უნდა გადაიჭრას ძალით ან ძალის გამოყენების დამუქრებით. არ არსებობს არც ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც მშვიდობიანი მოლაპარაკებით არ შეიძლებოდეს.

მაგრამ მშვიდობას ვერ იხსნიან მარტო მთავრობები ან მცირერიცხოვან ცალკეულ პირთა ერთეული ღონისძიებანი, რა თვალსაჩინო მდგომარეობაც უნდა ჰქონდეთ ამ პირებს. მშვიდობას იხსნიან ხალხები, მშვიდობის დაცვის დიადი მოძრაობა იმ პირობით, რომ ეს მოძრაობა შეძლებს გააერთიანოს თავისი ღონისძიებანი მთელ ცოცხალ ძალებთან, მთელი მსოფლიოს ყველა ქალისა და მამაკაცის ძალებთან, რომლებისთვისაც მშვიდობა ძვირფასია“.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობა

პარიზი, 18 ივნისი. (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობაზე დაიწყო კამათი შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის ბენუა ფრაშონის საანგარიშო მოხსენების გამო. დელეგატთა დიდი უმრავლესობის გამოსვლები მიძღვნილია ორი მთავარი საკითხისადმი — მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლის გაჩაღებისა და შრომელთა მოქმედების ერთიანობისადმი. კამათის მონაწილენი — მარსელის დოკერების, ფეიქართა ფედერაციების, მეშახტეთა და სხვ. წარმომადგენლები ასახავდნენ ყრილობის დელეგატთა მისწრაფებას მიაღწიონ საფრანგეთის მუშათა კლასის რიგების დარაზმვას. მხურვალე მოწონებით შეხვდნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიუროს მიერ შეტანილ მოქმედების პროგრამის პროექტს და ერთიანი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის პროექტს. ასეთ ვითარებაში დელეგატთა გაკვირვება და გაიცხვა გამოიწვია შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივნის ლე ბრენის გამოსვლამ, რომელიც არსებითად მოითხოვდა „ტენდენციების თავისუფლებას“ პროფკავშირულ მოძრაობაში, ესე იგი შრომის საყოველთაო კონფედერაციაში ორგანიზაციულად გაფორმებული სხვადასხვა დაჯგუფების არსებობის თავისუფლების აღიარებას. ბევრმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლე ბრენისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრაციული კომისიის ზოგიერთი სხვა წარმომადგენლის პოზიცია პროფკავშირული მოძრაობის გათიშვას იწვევს.

ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის გამოსვლა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა პროფკავშირულ მოძრაობაში მოქმედების ერთიანობის საკითხის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა. მან თქვა, რომ ისმება საკითხი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შემავალი პროფკავშირული ორგანიზაციებისა და იმ ორგანიზაციების ურთიერთობის განვითარების შესახებ, რომლებიც მას არ ეხმრობიან. ამისათვის, თქვა საიანმა, საჭიროა ბრძოლა დისკრიმინაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში მიმართავენ გათიშვის მოსახრენი.

საიანმა აღნიშნა შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობის დიდი მნიშვნელობა და განაცხადა, რომ თავისი მუშაობით იგი დიდ დახმარებას გაუწევს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში.

დღევანდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობაზე საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის ხელმძღვანელმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

ილაპარაკა რა საბჭოთა მშრომელების წარმატებებზე, რაც მიღწეულია საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 40 წლის მანძილზე, ვ. ვ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა პროფკავშირების როლი ამ წარმატებათა მიღწევაში. საბჭოთა წარმომადგენელი შემდეგ შეეხო მუშათა მოძრაობის ერთიანობის შენარჩუნების მნიშვნელობას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული საბჭოთა პროფკავშირები, თქვა მან, ისწრაფვიან ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ მუშათა კლასის ძმური სოლიდარობა და ერთიანობა, ცდილობენ განავითარონ ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან და პროფკავშირებთან. ამ მიზნით ისინი, ისევე როგორც საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია, მონაწილეობენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ამ შესანიშნავი მონაპოვრის, პროფკავშირული ერთიანობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ბურჯის საქმიანობაში.

ვ. ვ. გრიშინმა გამოაქვეყნა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობისადმი.

მისალმების ტექსტში ნათქვამია:

„საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო საბჭოთა კავშირის მუშათა და მოსამსახურეთა სახელით მხურვალე ძმურ სალამს უთვლის საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის 31-ე ყრილობას.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია საფრანგეთის ყველაზე მძლავრი პროფკავშირული ორგანიზაციაა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს საფრანგეთის მშრომელებსა და საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის მშრომელები და საბჭოთა პროფკავშირები გამსჭვალული არიან გულწრფელი მეგობრობის გრძნობით საფრანგეთის გმირი მუშათა კლასისა და მისი მებრძოლი პროფკავშირული ორგანიზაციისადმი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია თანმიმდევრულად იცავს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გააერთიანოს მუშათა კლასი სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისათვის, ყველა ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია თავისი წევრების მასებს ზრდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მუშათა ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია მამაცურად იბრძვის რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, რომელიც შეიცავს ევროპაში ახალი ომის საფრთხეს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბრძოლას თერმატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და წარმოების აკრძალვისათვის, გამალებული ატომური შეიარაღების წინააღმდეგ.

საბჭოთა პროფკავშირები შემდგომ წარმატებებს უსურვებენ შრომის საყოველთაო კონფედერაციას მის კეთილშობილურ საქმიანობაში მშვიდობის საკეთილდღეოდ, საფრანგეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საფრანგეთის მუშათა კლასს და მის მებრძოლ ორგანიზაციას — შრომის საყოველთაო კონფედერაციას!

გაუმარჯოს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას და ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობას მშვიდობისათვის ბრძოლაში!

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო“.

სხდომის თავმჯდომარემ ლუი საიანმა გულთბილი მადლობა გადაუხადა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს მისალმებისათვის და თავის მხრივ შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახელით მიესალმა საბჭოთა პროფკავშირებს, რომლებიც წელს აღნიშნავენ თავიანთ 40 წლისთავს.

გადადგა კანადის მთავრობა

ოტავა, 18 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს გადადგა კანადის მთავრობა, რომელსაც სათავეში ედგა სენ-ლორანი — ლიდერი ლიბერალური პარტიისა, რომელიც დამარცხდა ამასწინანდელ არჩევნებში.

კანადის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა „პროგრესულ — კონსერვატიული პარტიის“ ლიდერს დიფენბეიკერს შეადგინოს ახალი მთავრობა.

ბათუმი. ახალი საცხოვრებელი სახლი მარქსის ქუჩაზე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

★

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების დაჯილდოება

17 ივნისს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კლუბში გაიმართა რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების დაჯილდოება სამკერდე ნიშნით „ჩინებული მუშაობისათვის“ და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სიგელებით.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ი. ახვლედიანმა ილაპარაკა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების ამოცანებზე.

სულ დაჯილდოებულია 111 კაცი, მათ შორის ზესტაფონის რაიონული ბიბლიოთეკის გამგე ბ. ახრახაძე, გურჯაანის რაიონული ბიბლიოთეკის გამგე გ. ჯორჯაძე, ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ო. აბაშიძე, ახალქალაქის საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი მ. მარტინიანი, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნ. ბადრიაშვილი და სხვები.

(საქდესი).

სასამართლო

მკვლელებს — დახვრეტა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მილიციის ორგანოებმა შეიპყრეს ქურდებისა და მკვლელების დიდი ბანდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ბანდის მონაწილეებმა ოთხჯერ მოაწყეს გაძარცვა-მკვლელობით. ბანდაში შედიოდნენ ავთანდილ რომანოზის-ძე გაბისკირია, ვლადიმერ ალექსის-ძე კორნილოვი, ვლადიმერ გრიგოლის-ძე კეკელია, გიორგი კონსტანტინეს-ძე მუსაიელოვი, ვიქტორ ალექსის-ძე პავლოვი, ანატოლი ალექსის-ძე პინჩუკი. შემდეგში დაპატიმრებულ იქნა ბანდის კიდევ ორი თანამონაწილე — ედუარდ ხორენის-ძე ტოპოლიანი და ანატოლი ალექსის-ძე აიბა.

ქურდებისა და მკვლელების ბანდის საქმე ღია სასამართლო პროცესზე განიხილა აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ.

ბანდის მეთაურებს — კორნილოვს, გაბისკირიას, ტოპოლიანს და კეკელიას მიესჯათ სასჯელის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. დანარჩენ ბრალდებულებს მიესჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით — 15-დან 25 წლამდე.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ტელეგადაცემათა პროგრამა

20 ივნისისათვის

20.00 — კინოჟურნალები. 20.25 — ახალი მხატვრული ფილმი „მაძიებლები“.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ბორის გოდუნოვი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა, **გრიბოედოვის სახელობის** — მგზნებარე გული, **მუსიკალური კომედიის**—ნანატრი საქმრო, **ფილარმონია** — საესტრადო მიმოხილვა (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ფილარმონიის ბაღი** — მაშინ პარიზში, **ამირანი** (ფართო ეკრანი)—ილია მურომეცი, **ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — მოგზაურობა ახალგაზრდობაში, **ისანი** (საზაფხულო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — პროცესი სამ მილიონზე, **კომკავშირელი** — ბატონი 420 (I და II სერია), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ცხოვრების საგზური, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — გიორგი სააკაძე (I სერია), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი** — ნაცნობობა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მე ვიტყვი სიმართლეს, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი**— მარსის მუსიკა, **კოლმეურნე** — სიდუმლო თანამგზავრები, **დიდუბე** (საზამთრო) — ტორეოკელი თერძი, **დიდუბე** (საზაფხულო) — გაცრუებული იმედები, **ყაზბეგი** — დედა, მამა, მოსამსახურე და მე, **კიროვის სახელობის პარკი** — ბორანი, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი**— ანტუანი და ანტუანეტა.

დაიწყო ხელმოწერა

ჟურნალზე „Международный сельскохозяйственный журнал“—ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის ორგანო.

ჟურნალი გამოაქვეყნებს წერილებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, ყურადღებას დაუთმობს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ზრდას და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებას.

ჟურნალი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთათვის.

1957 წელს ჭამავა 3 ნომერი. თვითეული ნომერი ეღირება 6 მან.

„სოიუზპეჩატი“

დაიწყო ხელმოწერა

ჟურნალზე „Международный сельскохозяйственный журнал“—ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის ორგანო.

ჟურნალი გამოაქვეყნებს წერილებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, ყურადღებას დაუთმობს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ზრდას და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებას.

ჟურნალი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთათვის.

1957 წელს ჭამავა 3 ნომერი. თვითეული ნომერი ეღირება 6 მან.

„სოიუზპეჩატი“

შვილები მანია, მერი, დარიკო, თამარ, მარგო, ვახტანგ, სერგო, პეტრე, რძლები ნატა, დოდო, ლილი, სიძეები კ. გაფრინდაშვილი, შ. გოგოლაძე, ე. აბაშიძე, ე. ბუხნიკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრე ივანეს-ძე ლაშხი

გარდაცვლებას. დაკრძალვა 22-VI სოფ. საირხეში (საჩხერის რ.).

მეუღლე პეტრე, შვილები აზა, ზურაბ მაჭავარიანები იუწყებიან

ელენე სპირიდონის ასულ გაბადაძე-მაჭავარიანის

გარდაცვლებას. დაკრძალვა 22-VI სოფ. ჭოროვლაში (საჩხერის რ.).

„საქავტოტრანსმშენის“ ტრესტის კოლექტივი იუწყება

ლუარსაბ შიოს-ძე მაღრაძის

გარდაცვლებას.

მეუღლე მარიამ ესაიშვილი-ბრეგვაძე, შვილები გურამ, ლამარა იუწყებიან

ვასილ კონდრატის-ძე ბრეგვაძის

გარდაცვლებას. გამოსვენება 23-VI ბინიდან, ოსტროვსკის ქ. № 20, ქუთაისში.

შვილები შახი, რუსუდან, ეთერ, ნოშრევან, რძალი დოდო, სიძეები დ. ნოდია, ბ. კიწმარიშვილი, ს. თარგამაძე ოჯახებით იუწყებიან

ხარლამპე არჯევანის-ძე ჩაჩავას

გარდაცვლებას. დაკრძალვა 23-VI სოფ. კოდორში (აბაშის რ.).

მარჯვენა ნაპირის თბილკვებაჭრობის თანამშრომლები იუწყებიან

მამანტი იოსების-ძე ფრანგულაშვილის

გარდაცვლებას. პანაშვიდი 19-VI, 8 ს. გამოსვენება 20-VI, 6 ს. შაუმიანის ქ. № 88.

მეუღლე ელენე, შვილები ნიკო, რუსუდან, ტატიანა, რძალი დიანა, სიძე ა. ნუცუბიძე, ძმა ვლადიმერ; დანიელ, თვისო, ისიდორე ქინქლაძეები ოჯახებით იუწყებიან ექიმ

ივანე ათანასეს-ძე ქარცივაძის

გარდაცვლებას. დაკრძალვა 23-VI სოფ. ირეკში (ბახრამაძის რ.).

მცხეთის რაიკოოპერატივის მუშაკთა კოლექტივი იუწყება

შოთა მიხეილის-ძე ლომსაძის

გარდაცვლებას.

მეუღლე ლუსია, შვილები ლიდა, მიშა, ლამარა, რძალი ვენერ